№ 9 13 იანვარი, შაბათი 1866—1879 13 იანვარი, შაბათი № 9

დროება

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. ბარეშ. მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ერთზე—1 კაპ., ნახევარ-ასოებით ერთზე—8 კაპ. ᲛᲔᲠᲔᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲐ: ᲪᲮᲝᲠᲝᲗᲘ—5 კაპ., ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲗᲘ—1 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დუბრუნდება.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲣᲛᲝᲥᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲗ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (1879—1882) ᲐᲮᲚᲐᲓ-ᲐᲛᲝᲥᲠᲩᲔᲣᲚ ᲮᲛᲝᲬᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲝᲬᲐᲠᲩᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲨᲘ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 14 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, ᲨᲣᲐ ᲓᲦᲔᲖᲔ, ᲤᲘᲪᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲡᲐᲠᲩᲔᲕᲐᲓ.

ᲐᲛ 1879 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲘᲗ, ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲙᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲓᲝᲓᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ᲚᲘᲚᲜᲐᲚᲘ, 12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. დღეს გაათავისუფლეს აქ ყველა დამნაშავეები, რომელნიც არეულობის თაობაზედ იყვნენ დაჭერილნი. ᲚᲛᲔᲠᲗᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲘᲐᲜ ᲐᲛ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘ, ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲔᲡᲘᲜᲔᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲣᲑᲝᲚᲝᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲢᲐᲠᲔᲑᲐ. ᲑᲔᲕᲠᲜᲘ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲢᲠᲘᲐᲜ.

ᲙᲘᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲭᲐ, 11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

	მან.	კაპ.
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ:		
პირველი გამოცემის —	—	95—75
მეორე— — — — — —	—	95—
მესამესი — — — —	—	95—87
მეოთხესი — — — —	—	94—87
აღმოსავლეთის პირ. —		92—25
აღმოსავლეთის მეორე—		92— „
ᲠᲣᲥᲠᲝ, 1/2 იმპერიალი —		8—51
ᲗᲤᲘᲚ. თავად-აზნ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ		
გირაოს ფურცელი— —	„—	„
შინაგანი 5% სესხის ბილეთები		
	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	231	—25
მეორე სესხის — — —	231	—75
1 მანეთი ლირს:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ — —	23—16	პენსი
ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ— —	—118—	„ ᲪᲔᲜᲢᲘ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ— — —	—198—50	ᲞᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ — — —	—245—50	ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ—	2—10	—

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

Ა. Ს. ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘ

ᲐᲛ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ 30-Ს ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ 50 ᲬᲚᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲪ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲰᲙᲚᲔᲡ ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲥᲔᲑᲝ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ—ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ „ᲕᲐᲘ ᲭᲙᲣᲘᲡᲐᲒᲐᲜ" ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲔᲠᲒᲔᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘ.

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲘᲠᲝᲑᲡ ᲐᲛ ᲓᲦᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐ ᲬᲐᲣᲚᲝᲑᲐᲡ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲝ ᲭᲐᲣᲠᲡ, ᲠᲝᲛ, ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲝᲡ.

ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲖᲘ ᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ Ა. Ს. ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲗᲐᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲐ: ᲘᲡ ᲘᲧᲝ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ჩვენი სიძე, (ᲪᲧᲐᲚᲓᲐ ᲪᲝᲚᲐᲓ Თ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲥᲐᲠᲘ—ᲜᲘᲜᲝ, ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲛᲘᲜᲒᲠᲔᲚᲡᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲝᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲡ ᲪᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲘ), ᲘᲡ ᲐᲥ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲘᲗ ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲖᲔᲓ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲣᲚᲘ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲦᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲘᲛᲐᲜ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲐᲓ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ და ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ „ᲕᲐᲘ ᲭᲙᲣᲘᲡᲐᲒᲐᲜ," ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲡ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲜᲘᲭᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘ

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲐᲚᲬᲓᲕᲐ ᲒᲕᲔᲫᲘᲠᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜ?

(ᲛᲣᲓᲚᲕᲜᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ)

(ᲑᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ)*

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲛᲑᲐᲖᲔ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲗᲥᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ თუ სოფელი, რომელთაც კი აქვთ სასწავლებელი, მოვალენი არიან მტკიცე თვალ-ყური ეჭიროსთ თავიანთი შვილების მასწავლებლების ვარგის-უვარგისობაზე და ყოველი ღონის-ძიება იხმარონ ხოლმე, რათა დასაბამშივე უარჰყონ ის მასწავლებელნი, რომელნიც მეათედაც არ უღრიან ნამდვილ-მასწავლებელს.

ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲜᲘ პედაგოგნი აწინდელის დროისა აი როგორ გვიხატავენ ნამდვილ მასწავლებელსა:

Ა) მასწავლებელს ეჭირება ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ, რომ თვითონვე კარგათ იცავდეს თავსა და არ ეჭირებოდეს მას სხვისი ხელმძღვანელობა. ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲮᲚᲐᲓ გამოსულ პედაგოგს ეტყობა ეს ნაკლულევანება, მაგრამ იგი სამშარი არ არის, თუ მასწავლებელი ადვილად ჰხედავს თვის ნაკლულევანებას და მზათ არის შეიესოს, გაისწოროს იგი ნაკლულევანება საკუთარი მეცადინეობით, სხვასთან რჩევით და სხვ.

Ბ) ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ და ᲑᲔᲯᲘᲗᲝᲑᲐ თვის მოქმედებაში, განკარგულებების გაცემაში. ᲔᲡ ᲗᲕᲡᲔᲑᲐᲜᲘ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ, რადგანაც ათჯერ თავისგანვე დაწყობილი საქმის და გაცემული განკარგულების შეცვლა ამტკიცებენ მასწავლებელის არაღრმათ საგნის ცოდნას, არა ხასიათის სიმტკიცეს.

Გ) ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲔᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲘᲐᲜᲘ თვისი მოვალეობის აღსრულებაში.

Დ) ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ, რამოდენათმე მაინც, თავგანწირულება თვისი მოვალეობისათვის. ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ ᲘᲛᲓᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲐ და თავგანწირულება ბავშვების აღზდაში, რამდენიც მასწავლებელს. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ: „ᲕᲘᲜᲪ ᲮᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲓᲔᲑᲡ ᲒᲣᲗᲜᲐᲡᲐᲠ და აქეთ-იქით ᲪᲥᲔᲠᲐᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡᲠ, ᲘᲒᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲡ ᲡᲣᲤᲔᲕᲐᲡᲐ", ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲐᲗ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

Ე) ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ და აგრეთვე მოიგოს მათი სიყვარული. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲐᲜ ᲘᲛᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲒᲝᲡ, რომ გულ-გრილათ ეკიდებოდეს ყველა მათ უწესო ქცევას, მოქმედებას, არამედ ყველგან და ყოველთვის იცოდეს სიმკაცრე და უხუმრობა შეაკავშიროს ალერსსა, ტკბილ-მეგობრულ ქცევასა.

Ვ) ᲔᲠᲗ ᲣᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲡ თვისებათაგანს მასწავლებელთათვის შეადგენს ენერგია. მასწავლებელმა უნდა აკეთოს თვისი საქმე მხნეთ, გულოვნათ, გამბედავად. უშიშრად ყოველისა დაბრკოლებისა წინაშე.

Ზ) ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲣᲣᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲡ თვისებათ უნდა ჩაითვალოს წმინდა, კეთილი და

*) „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ", №№ 5,7,8.

დამჭაველებული პირები, ეს კომედია ზრიბოედოვმა აქ, ჩვენს თფილისში დასწერა.

აი ამოტომაც ჩვენი ქვეყანა ზრიბოედოვს თავის „კაცად“, თავის „შვილად“ სთვლის და ასე გულ-მოდგინეთ აპირებს იმის იუბილეის დღესასწაულობას.

ჩვენ შევიტყეთ, რომ აქ შესდგა ცალკე კომიტეტი, რომელიც თაობს ამ დღესასწაულის გამართვას. სხვათა შორის აპიროებენ:

თ. დ. ბ. ერისთაი ზრიბოედოვის ბიოგრაფიის წაკითხვას;

უფ. ბერჟე—ზრიბოედოვზე, როგორც პოლიტიკოსზე, ლექციის წაკითხვას;

უფ. ა. ს. პალმი—ზრიბედოვზე, როგორც მწერალზე, ლექციის წაკითხვას.

ყველა ეს ლექციები წაიკითხება ქრუჟოკში 28 იანვარს.

თვითონ იუბილეის დღეს, 30 იანვარს, დილის 10 საათზე მთა-წმინდის მონასტერში იქნება ზრიბოედოვის პანაშვიდი, რომელზედაც თითქმის მთელი ქალაქი აპირებს დასწრებას, ამქარის, სასწავლებლების მოწაფეები და სხვ.

საღამოს თვეატრში და ქრუჟოკში იქნება ზრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ წარმოდგენა.

შემოსავალი სპეკტაკლებისა და აგრეთვე ბალ-მასკარადისა, რომელიც ქეთილშობილთ კლუბში გაიმართება, დანიშნულია ზრიბოედოვის სტიპენდიისათვის, რომელიც თფილისის ერთს სასწავლებელთაგანში იქნება დანიშნული.

ДЕЛИУРИ

*** დღეანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკისაგან თავის თანაშემწესთან გამოგზავნილი ტელეგრამმა, რომლის წაკითხვა, უეჭველია, ყველასთვის სასიამოვნოდ დარჩება.

აი ეს ტელეგრამმა:

„ჩემის უქვეშევრდომილესის მოხსენებით, ხელმწიფე იმპერატორმა ინება სრული პატიობის მინიჭება ყოველი იმ დამნაშავეებისა, რომელთაც სილნალის არეულობაში მიიღეს მონაწილეობა; ეს მოწყალება იმათ უნდა გამოეცხადოსთ 12 იანვარს, ველიკი ქნიაჟნა ანასტასია მიხაილის ასულის ქორწინების დღეს“.

ეს ჩინებული მოწყალება ხელმწიფე იმპერატორსა შეეხება სულ 11 კაცს (რომელთაგან ორი დედაკაცია); ყველა ამათ სამხედრო სასამართლოს გარდაწყვეტილებით, ამ წლის 10 იანვარს, დადებული ჰქონდათ სასჯელად ყველა ქონებითი უფლების ჩამორთმევა და ციმბირში გაგზავნა დასასახლებელად.

*** დღეს 12 იანვარს, პეტერბურღში იქნება დაქორწინება დიდი ქნიაჟნის ანასტასია მიხაილისა და მეკლენბურშვერინის დიდი ჰერცოგის ფრიდრიხისა.

*** ჩვენი ქალაქის უპრავისაგან შედგენილის ამ 1879 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიშიდამ (სმეტიდამ) სჩანს, რომ წელს ქალაქის ხაზინა მოელის შემოსავალს—520,299 მანეთს; გასავალს—487,324 მანეთსა. აქედამ სჩანს, რომ ქალაქი 32,975 მანეთით უფრო მომეტებულ შემოსავალს მოელის, ვინემ გასავალს; ეს შემოსავლის მომატება იქიდამ წარმომდგარა, რომ ქალაქს მიუღია ხაზინიდამ 72,894 მანეთი რკინის გზისათვის დათმობილს ალაგში. მაგრამ ამ 1879 წელს ქალაქს გასავალი მაინც მეტი ექნება, ვინემ შემოსავალი, რადგან წელს ქალაქმა უნდა გააკეთოს ხიდები, აშენოს საქონლის საკლავი სახლი, საქალაქო ბოსელი და სხვ.

ბასავალში მოხსენებულია სჩვათა შორის შემდეგი ხარჯი:

ქალაქის გამგეობისათვის (ურავის და სხვ.) — — — — 73,700 მან.

პოლიციაზედ დაიხარჯება 70,972 „

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ გაზეთში ანგარიში ორი უკანასკნელი ქართული წარმოდგენისა.

ა). 21 დეკემბრის წარმოდგენისა:

ბაიყიდა ბილეთები სულ 283 მან.

აქედამ დაიხარჯა:

ზალის ქირა — — — 50 მან. —„

მუზიკის ფასი — — — 30 — —„

სკამების ქირა— — — 25 — 60 კ.

ტანისამოსის ქირა— — 59 — —„

აფიშებისთვის ქაღალდი, დასაბეჭდი და გასაკრავი — 15 — 60

წვრიმალი ხარჯი— — 18 — 40„

208 — 60„

ნაღდი დარჩა — — 74 მან. 40 კ.

ბ). 4 იანვრის წარმოდგენისა:

ბაიყიდა ბილეთები სულ 369 მან.

აქედამ დაიხარჯა:

ზალის ქირა — — — 35 მან. —

საზანდარს აბდულ-ბაღის 30 — —

სკამების ქირა— — — 34 — —

ტანისამოსის ქირა— — 77 — —

პარიკმახერს — — — 8 — —

აფიშის ქაღალდი, დასაბეჭდი და გასაკერელი — 13—90 კ.

წვრიმალი ხარჯი — 23 — —

220 მ. 90 კ.

ნაღდი დარჩა — —148 მ. 10 კ.

ბამგებელი ნოდ. ჯორჯაძე

გამოცდილი ზნეობა. აქ მეტი არაფერი მოეთხოება მასწავლებელს, რომ მან იქონიოს ნამდვილი, არა ყალბი გულწრფელობა, იმ გვარი ყოფა-ქცევა, სადაც იგი არ წითლდება თვის მოქმედებაში, სადაც იგი არაოდეს არ თვალმაქცობს, არ ფარისევლობს.

ყველა ამას, საკუთრათ ქართველებისათვის, თუ დაუმატეთ, რომ მასწავლებელი უნდა იყოს ქართველი, (რადგანაც უცხო ხალხის მასწავლებელს თავის დღეში არ შეუძლიან ასე ახლო შეაკავშიროს თვისი სიცოცხლე შაგირდების სიცოცხლესთან, როგორც ეს შაუძლიან ქართველს) და ამას გარდა თუ მასწავლებელმა, რამოდენათმე მაინც, იცის და უყვარს კიდეც სამეურნეო ნაწილი და რომელიმე ხელობა და დასასრულ ვრცლათ და მტკიცეთ შეჰსწავლილი აქვს პედაღოღია, (როგორც მეცნიერება),—ჩვენ წინ გამოიხატება ის მასწავლებელი, რომელიც აწ ეჭირება ჩვენ ქვეყანას...

თქმა არ უნდა, რომ ყველა ამ ღირსებაებით შემკულნი მასწავლებელნი ძვირად და იშვიათად მოიპოებიან, მაგრამ ყველას, ვისაც კი გვესმის ახალი თაობის მნიშვნელობა, გვმართებს მეცადინეობა რამოდენათმე მაინც მივაღწიოთ ამ იდეალამდის, და იმ გვარი მასწავლებელნი მოვძებნოთ ხოლმე, რომელთაც შეეძლოთ აიტაცონ თავიანთი ნორჩების არსება ყველა კეთილისათვის!...

—

ბარდა მშობლებისა და მასწავლებელისა, დიდი გავლენა აქვთ ბავშვების აღდაზე მათ ტოლებს, ამხანაგებს, მეზობლების შვილებს და დასასრულ მოსამსახურეებს.

ბავშვების ნაცნობობა და მათი ურთიერთ შორის მიმართობა, არიან უაღრესნი სახსარნი ბავშვების აღზდისა, რისგამო საჭიროა მივაქციოთ მათზე არა უკანასკნელი ყურადღება.

ერთი ჭკვიანი და კეთილი ბავშვიო, ამბობს ერთი პედაგოგი, სანახევროდ უმსუბუქებს მშობლებს მათ მძიმე მოვალეობას შვილების აღზდაში. ესევე უნდა ითქვას კარგ ტოლებზე, ამხანაგებზე, მოსამსახურეებზე და მათ ურთი-ერთ მიმართობაზედ. ამ უკანასკნელების (მოსამსახურეებისა) გავლენა ძლიერ და ძლიერ დიდია, ზოგჯერ საკუთარ მშობლებზე უდიდესია. ამის მიზეზიც კარგათ მოგეხსენებათ: ჩვენ ჩვენივე ზარმაცობით, გაუგებრობით, საკუთარი ღვიძლი შვილის აღზდის სიმძიმის ასაცდელათ, ვტოვებთ პატარებს სასწავლებელში განწესებამდე, თავიანთ მოსამსახურეების და სხვა უცხო პირების ანაბარაზე, რომელნიც, თვით მოკლებულნი სწავლასა და მაღალს ზნეობასა, არა თუ ზრდიან ბავშვში მაღალ ზნეობას, არამედ საშნელ ენებას აძლევენ მათ ამ მხრით წარმატებას. ამიტომ მოვალენი ვართ ყოველნი მშობელნი, რათა დაუღალავად თვითონ თვალ-ყური გვეჭიროს—თუ ვისთან მეგობრდებიან და ვისთან მომეტებულათ დროს ატარებენ ჩვენი შვილები.

—

ახლა გადვიდეთ იმაზე, თუ რომელი პირდაპირი სახსრებით და რა გვარი აღზდით შეგვიძლიან ჩვენ ავღძრათ და გავღსნათ ბავშვებში თვით-მომქმედი, შეუდრეკელი ხასიათი და მიღრეკილება ყოველის კეთილისადმი.

„დროების“ კორრესპონდენცია

ს. შროშა, (შორაპნის უეზდი). ჩვენში ნამეტნავათ გახშირებულია ცხენის ქურდობა. ვისაც დაეკარგა, ძვირათ მოუხდარა, რომ მოენახოს. ბევრი იფიქრეს ამის მოსპობაზე, მაგრამ ვერაფერი ვერ მოიფიქრეს. რამდენი ყარაულები დააყენეს, მაგრამ არა გამოვიდა-რა მათგან. ეს ყარაულები ხანდისხან იჭერენ მოპარულ ცხენებს, მაგრამ, ამბობენ, ისევ აძლევენ ქურდებსო...

ერთი ამის მსგავსი საქმე მოხდა ჩვენს სოფელში. ღამის ყარაულებმა ერთ კაცს ცხენი უნახეს, რომელსაც წინეთ ცხენი არ ყოლია. სტაცეს ცხენს ხელი და პატრონს უთხრეს, მოწმობა მოიტანე—ვისგან იყიდეო. ცხენის „მეპატრონემ“ უჩვენა ერთი კაცი, რომელსაც ამისთანა საქმეში სახელი აქვს გატეხილი, იმან მომყიდაო. შეიქნა ერთი ამბავი. დარწმუნდნენ, რომ ცხენი ნაპარევი იყო; ის უეზდის უმფროსთან წაიყვანეს. იმ კაცმა, რომელსაც ეს ცხენი აღმოუჩნდა სახლში, სთხოვა ღამის ყარაულებს ერთი დღის ვადის მიცემა. ყარაულებიც დაჰყვნენ ნებას. მეორე დღეს მოუტანა კამასახლისის ბრძანება: ცხენი ისევ იმ მაცს ჩააბარონ საქმის გამოძიებამდისინ და ყარაულებმა თავი დაანებონ მას. როგორც კი დაიბრუნა ცხენი ამ პირმა იმავე წამს მიჰყო თავის ხურხს ხელი. ცხენი გაქრა; სად არის, კაცმა არ იცის. გამოძიება ისე არავის მოუხდენია, როგორც თქვენ, უ. რედაქტორო. საზოგადოება მივარდა მამასახლისს ამ საქმის მოხერხებისათვის, მაგრამ მამასახლისმა, როგორც ამბობენ, ერთი ვილაცა პრისტავის ბრძანება უჩვენა მათ. იქან მიბრძანა, ცხენი ისევ იმას ჩააბარე, ვისაც უნახესო, და მე მის ბრძანებას ვერ გადაველიო.

საზოგადოება გაცხარდა ძლიერ ამისთანა საქმეებისა გამო. შეადგინა განჩინება და თორმეტი კაცი გასცა საეჭვო ყოფაქცევისა, რომელთ რიცხვში ისიც მოჰყვა, ვისიც ხელში ნახეს ეს ნაპარევი ცხენი. განჩინება წარუდგინეს უეზდის უმფროს და არ იციან რით გათავდება საქმე.

იმედი გვაქვს შორაპნის უეზდის ნაჩალნიკი მიაქცევს ამას ყურადღებას.

თუ ამ საქმეს გამოიძიებენ კარგად და დამნაშავე, ამ მოპარულ ცხენის დამალვისათვის, იქმნება დასჯილი, ვინც უნდა იყოს: პრისტავი, მამასახლისი, თუ გინდ ცხენის მომპარავი, მაშინ ის ჰაზრი დაეკარგება მრთელ ამ სოფლის საზოგადოებას, რაც დღეს აქვს შედგენილი ზოგიერთებზე ამ ცხენის გაქრობის გამოისობით.

შროშელი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

უცხო ქვეყნის გაზეთებში დაბეჭდილი იყო ამას წინათ შინაარსი იმ სიტყვისა, რომელიც წარმოსთქვა ხონთქარმა ახალწელიწადს დღეს, როდესაც ევროპიულ სახელმწიფოების ელჩები გამოეცხადნენ იმას ამ დღის მოსალოცავად. ახლა ამავე გაზეთებში მოყვანილია სრულიად ეს სიტყვა:

„გმადლობთ იმ გულწრფელი სიკეთის სურვილისათვის, რომელსაც თქვენ ნატრულობთ ჩემთვის. რადგანაც მშვიდობიანობა და ჩვენი ქვეყნის წარმატება ჩემს უგულითადესს ნატვრას შეადგენს, ამისთვის თქვენი მილოცვა მე სასიამოვნოდ მიჭაჩნია. ჩემს იმპერიას ისეთი პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა აქვს, რომ იმას ყველა სახელმწიფოებთან უნდა ჰქონდეს კავშირი. ჩემი მეცადინეობა [illegible] და ის იქნება, რომ იყვეს [illegible] მშვიდობიანობა და ჩემს ქვეყანას ეღირსოს განათლება და კეთილდღეობა.

„ამ მიზნით მე ვზრუნავ იმაზე, რომ ოსმალეთში შემოვიღო რეფორმები და რიგიანი ცვლილება და კეთილი განწყობილება დავამყარო ყველა უცხო სახელმწიფოებთან.

„ღმერთმან ინებოს, რომ მომავალში ჩემს გარშემო მე ვხედავდე მხოლოთ ისეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომელთაც მეგობრული და კეთილ-განყობილებითი დამოკიდებულება ჰქონდესთ ოსმალეთთან“.

— მოგეხსენებათ, რომ საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა განხეთქილება ჯერჯერობით იმით გადაწყდა, რომ ორივე სახელმწიფოებმა დასდვეს დანიშნონ კომისია, რომელმანც უნდა შეასწოროს ამ ორი სახელმწიფოს სამზღვრები. საბერძნეთმა უკვე დანიშნა თავის მხრით კომისიის წევრები; ახლა უცდიან მხოლოთ, რომ ოსმალეთმაც დანიშნოს. მაგრამ ოსმალეთის მთავრობა აგვიანებსო, როგორც ამბობენ, იმ განზრახვით, რომ გულით არ ჰსურს, შეასრულოს ბერლინის კონგრესსის გარდაწყვეტილება, საბერძნეთის სამზღვრების შესწორების თაობაზედ.

— ხონთქარის მთავრობას მიწერილობა გაუგზავნია სკუტარის ღუბერნატორის ჰუსსეინ-ფაშისათვის, გამოუცხადოს პოდგორიცისა და სპუჟის მცხოვრებლებს, რომ ისინი წინააღმდეგობას ნუ გაუწევენ ჩერნოგორიასა და ვისაც ამ სახელმწიფოს ქვეშევრდომობა არ ჰსურს, შეუძლიან ოსმალეთში გადმოესახლოსო.

რუსეთი

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭ-

აქ ორი გზაა: ერთი პრაკტიკული (საქმითი დახელოვნება) და მეორე თეორეთიკული.

ბევრი სხვა-და-სხვა ჰაზრი წარმოთქმულა ამ სახსრებზე უწინაც და ახლაც; მაგრამ მათშიაც არ შეიძლება არ შევნიშნოთ ერთი რამ, რომელიც ცოტათი თუ ბევრად, ყველას აკმაყოფილებს. ეს გახლავს: „აღზარდეთ ბავშვები ბუნების თანახმად, შემსგავსებულად,“ ე. ი. ბავშვი უნდა აღიზარდოს კარგის ზნით, არა იმ ბარბაროსული და თვით ჩვენის მოკლე ჭკუით გამოგონილი სახსრებით, არამედ იმ სახსრებით და საშუალებებით, რომლებსაც გვაძლევს და გვიჩვენებს თვით ბუნება. ამ ბუნებისაგან ნაბოძვარ სახსრებზე ჩვენ მოვილაპარაკოთ ერთი გამოჩენილი ინგლისელი პედაგოგის ბ ე რ ბ ე რ ტ ს პ ე ნ ს ე რ ი ს სიტყვით:

ბავშმა გამოიღო თავისი ყუთი სათამაშოებით, საკმარისად ითამაშა, განფანტა იატაკზე ეს სათამაშოები და აგრე მიატოვა. დილით მოიტანეს ყვავილების თაიგული, ლამაზად ჩააყენეს სტაქანწყალში; ამავე ყმაწვილმა კი დაშალა იგი და განფანტა. პატარა ქალი უკერავს თავის კუკლებს სამოსელს, ასახიჩრებს იქაურობას ნაკუწებით და სხვ.

როგორ იქცევიან ჩვენში ამ გვარი შემთხვევების დროს? მომეტებულათ შრომას ამ უწესოების გასასწორებლათ მშობლები სტოვებენ არა თუ დამნაშავეზე, არამედ მოახლეებზე, მოსამსახურეებზე, ანუ ვინმე სხვაზე; თვით დამნაშავეს კი მხოლოდ დარიგებას წაუკითხავენ. ამ შემთხვევაში ყველა გონებიანი დედ-მამა მართლა და ისე მოიქცეოდა, როგორც ამას მოითხოვს თვით დანაშაულობა, ე. ი. ვინც მოახდინა უწესოება, იმანვე შრომა გაჰსწიოს და საქმე გაასწოროს; იმიტომ რომ ეს დასჯა ბუნებითი და ყველაზე სამართლიანი დასჯაა. თუ ზოგიერთი ბავშვები, რომელნიც წინათვე გაფუჭებულან ხასიათით, ამ გვარ ბუნებით დასჯის დროს ისე გაჯიუტდებიან, რომ არ აასრულებენ მათზე დადებულ დასჯას, მაშინ სამართალი მოითხოვს ვარძნობინოთ თავის წინააღმდეგობის უკუნურება და მისთვისევე უსარგებლობა. როდესაც იგი უარს ჰყოფს აკრიბოს და წესზე მოიყვანოს გაფუჭებული საქმე, მაშინ მას უნდა მოესპოს გზა, რათა მომავალში აღარ მიაყენოს სხვას შეწუხება: როდესაც ამის შემდეგ იგი ხელმეორეთ ითხოვს ყუთს სათამაშოებით, პასუხი დედისა თუ მამისა უნდა იყვეს დაახლოებით ამ გვარი: „ამას წინეთ შენ დასტოვე სათამაშოები იატაკზე დაფანტული და მაროს მოუხდა მათი აკრება. მაროს ყოველთვის იმდენი საქმე აქვს, რომ შენთვის ყოველთვის ვერ მოიცლის და არც მე მაქვს დროება; და რადგანაც შენ არ გინდა ხოლმე აალაგო შენი ნივთები, ამიტომ არ შემიძლიან მოგცე.“ ეს იმ გვარი დასჯაა, რომელიც შეიძლება არ იგრძნოს და არ გაიგოს ბავშმა. ამ გვარად დასჯილი ბავშვი გაიგებს, რომ ცხოვრებაში ყოველი გართობა მოიპოება შრომით და ამავე წლოვანებაში ამ ჭეშმარიტების მიგნება ცუდი არ იქნება.

(შემდეგი იქნება)

დილია რუსეთის შემოსავალ-გასავალის ანგარიში ამა 1879 წლისა, რომლიდამაც სჩანს, რომ რუსეთის ხაზინა წელს მოელის შემოსავალს 628,965,705 მანეთს; გასავალს კი მოელის 381,951 მანეთით ნაკლებს ვინემ შემოსავალს; ეს შემოსავალის მომატები წარმოსდგება ახალი ხარჯის დადებისაგან (მომატებისაგან) რკინის გზის ბილეთებზე, ღერბ-ს ქალალდზე და არაყის აქციზზე.

ამ ანგარიშში არ არის მოყვანილი გასული ომიანობის გამო აღებული სახელმწიფო ვალი.

— იმ ავათმყოფობის გამოსაძიებლად, რომელიც ამ ხანებში გაჩნდა ა შტრასნინის გუბერნიაში, გაგზავნილი იყო პეტერბურღლიდამ პროფესორი ქრასოვსკი, რომელიც იწერება, რომ ეს ავათმყოფობა სრულიადაც ჟამი ანუ შავი ჭირი არ არისო, არამედ სახადიო, მაგრამ ისეთი ძლიერიაო, რომ იმის მორჩენა არ შეიძლებაო. მართლაც ერთს სოფელში, რომელშიაც სულ ათასი სული მცხოვრები ყოფილა, სამასი კაცი გამხდარა ავათ და ამათგან ორას-ოთხმოცდარვა მომკედარა.

ახლა კი ეს საშინელი ავათმყოფობა, როგორც იწერებიან, თან-და-თან ჰკლებულობს თურმე.

განცხადებანი

ბვაქეს პატივი გამოუცხადოთ ქუთაისის გუბერნიის მოვაჭრებს, რომელთაგანც ამტელი ხანიც გვქონდა ყველასაგან მონდობილება და ჩვენის მხრით ყველანი კმაყოფილი არიან, რომ გაგზავნა ფოთი-თფილისის რკინის გზიდან გატანილი საქონელის 5 ცალზედ ნაკლები 10 კაპ., 5 ცალზედ მეტი, ვიდრე 50 ცალამდინ 7½ კოპეიკი. თუ წვრილი ცალი, ეგრეთვე რკინა და ამგვარი რამეა, ფუთზედ 1 კაპ. ეგრეთვე მაშინიდან გაძოგზავნა ქალაქში.

ხასყიდელი და გასასყიდი ყოველივე გაიგზავნება, მხოლოდ თუმანზედ 25 კაპ. კომისია იქმნება ჩვენი. იმედი გვაქვს ყოველივე საქმე შეესრულოთ რიგიანათ და ამის დავიმსახუროთ ქუთაისის გუბერნიის ვაჭართ ყურადღება.

კანტორა იმყოფება თფილისში ორხმაზის ქარვასლაში.

ბ. თ. რატიანი და ყ. ი. ჩიქოვანი

(3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოკემული ეკ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მალაზიაში. ბორჩალოში: ძამოკვის მალაზიაში. ქუთაისში: კ. ჭელხის წიგნის მალაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ზუგდიდში, ბრიგოლ ჯინჭარაძის მალაზიაში.

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ბრიკოროვის და სხვა წიგნის მალაზინებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. ოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ქოსტავას დუქანში.

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კოპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კოპეიკათ.

მომავალ 1879 წელს
რუსული ყოველ-დღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„თფილისის მოამბე“

(ТИФЛИССКІЙ ВѢСТНИКЪ)

ბამოვა იმავე პროგრამმითა და იმავე თანამშრომელების მონაწილეობის მიღებით, როგორც წელს გამოდიოდა.

გაზეთის ფასი

	გაუგზავნელად მან.	კაპ.	გაგზავნით მან.	კაპ.
ერთის წლით	11	—	12	—
ნახევარ წლით	6	—	6	50
სამი თვით	3	50	4	—
ერთის თვით	1	25	1	50

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში, ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლებში, № 3.

ქალაქს გარეშე მცხოვრები ამ ადრესით დაიბარებენ გაზეთს: Въ Тифлисъ, въ редакцію „Тифлисскаго Вѣстника“. (5—4)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი	9	21	5	18				
მცხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
ყვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	5			6	75	3	75
სამტრედია	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი	9	50			9	75	5	42
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია	11	5			2	6	1	14
რიონი	12	13			3		1	69
ყვირილა	1	18	ღამ.		3	9ა	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოქრო სიტყვა თფილისიდამ:		
ბაკაკისის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვი, ოდესა, მოსკოვ	2	—
პეტერბურღს, ბარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75
ფოსტა		
ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ბაზეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.		
წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	
და სამზღვარ გარეთ:		
ღია წიგნი	4	
დბ ბედლის (ხ.ში ბისხალი)	8	

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 12 იანვარს.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	70
ფქვ. ლი წოთელი	1	30
ქერი ფუთი	1	25
ბამბა ერგვ ისა, ფუთი	7	30
— ამერიკა, ფუთი	8	50
ბაპენტელი ბამბა ფუთი	11	—
მატყლი თუშური ფუთი	7	50
— ოსრაქმისა ფუთი	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი, ფუთი	5	30
ქონის სანთელი ფუთი	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	13	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
— ცხვრისა, ლიტრა	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი	7	80
— ფხვნილი ფუთი	6	40
ყავა ბრაზილი, ბირ.	—	70
ჩეი ქუნჯუთისა ფუთი	12	60
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	8

თფილისის სამკურნალო.
ერევნ.ს მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.
ოკულარ: ვერმიშევი და ბარ ლევიჩი — შინაგ. ავად., ქირურგიანც — საგარო ექიმი და საშინელს ოპერაციები.
საამბულატორ: ვერმიშევი — შინაგ. ა. ბ ხუტოვი — საბავშვო და ბავშვის, პეუნოვი — თვალის.
ოფთალმატორ: ვერმიშევი შინაგანი.
ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგ., ქირურგიანცი — სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.
პარასკევს: ვერმიშევი — შინაგ., ა. ბახუტოვი — საბავშვო ქალისა და ბავშვების.
შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Генваря 1879 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.